საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/ 24

27 თებერვალი, 2019 წ. ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N144 ბრძანებულების, ,,დაწესებულების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანების, ,,ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის N01-08/6 ბრძანების, ბსუ-ს საექსპერტო კომისიის 2019 წლის 27 თებერვლის N1 სხდომისოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, მე-2 გრაფას (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) N02-16 გრაფის შემდეგ დაემატოს ახალი გრაფა - N02-17, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქმის ინდე-ქსი	საქმის სათაური	შესანახი ერთეულ ის რაოდენო ბა	შენახვის ვადა და მუხლის № ნუსხის მიხედვით	შენიშვნა
02-17	**სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების განხორციელების მიზნით** მოწვეულ პირებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის წარმმართველი) გაფორმებული ხელშეკრულებები (ცვლილებები ხელშეკრულებაში/შეთანხმებები)		75 წელი N338 სშკ	

2. წინამდებარე გრძანებით შეტანილი დამატების გათვალისწინებით განხორციელდეს 2019 წლის 3 იანვრიდან **სარეზიდენტო/პროფესიული მზადების** პროგრამების **განხორციელების მიზნით** მოწვეულ პირებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის წარმმართველი) გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაცია.
3. გსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 გრძანებით დამტკიცებული **გსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა ამოქმედდეს 2019 წლის 3 იანვრიდან.**
4. გრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს გსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

27 თებერვალი, 2019წ

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჯემალ ანანიძე ---------- (ხელმოწერა)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექსპერტო კომისიის სხდომის
ოქმი N 01

ქ. ბათუმი **2019 წლის 27 თებერვალი**

სხდომას ესწრებოდნენ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 23 აპრილის N 01-11/53 ბრძანებით დამტკიცებული საექსპერტო კომისიის წევრები:

ხათუნა ხალვაში - თავმჯდომარე, ბსუ-ს კანცელარიის უფროსი;
მზია შარაძე – მდივანი, ბსუ-ს კანცელარიის მთავარი სპეციალისტი;
თამარ ასანიძე – ბსუ-ს კანცელარიის არქივის უფროსი;
ნანი ფუტკარაძე - ბსუ-ს კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი;
მარინა ბაგრატია – ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, მე-2 გრაფას (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) N02-16 გრაფის შემდეგ ახალი გრაფის - N01-17 დამატების საკითხის განხილვა.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:
ხათუნა ხალვაშმა განმარტა შემდეგი:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა, განსხვავებით წინა წლებში მოქმედი ნომენკლატურისაგან, ითვალისწინებს ბსუ-ში სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ნომრებს, თუმცა არ არის გათვალისწინებული სარეზიდენტო/პროფესიული მზადების პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეულ პირებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის წარმმართველი) გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ნომერი, რის გამოც მიზანშეწონილია ბსუ-ს საქმეთა ნაერთი ნომენკლატურაში შევიდეს დამატება და იგი გავრცელდეს 2019 წლის 3 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ ინიციატივას.

კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადგინეს:

1. საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 9 იანვრის N01-02/01 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, მე-2 გრაფაში (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური) N02-16 გრაფის შემდეგ დაემატოს ახალი გრაფა - N01-17, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქმის ინდე-ქსი	საქმის სათაური	შესანახი ერთეულის რაოდენობა	შენახვის ვადა და მუხლის № ნუსხის მიხედვით	შენიშვნა
02-17	**სარეზიდენტო/პროფესიული მზადების** პროგრამების **განხორციელების მიზნით** მოწვეულ პირებთან (პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის წარმმართველი) გაფორმებული ხელშეკრულებები (ცვლილებები ხელშეკრულებაში/შეთანხმებები)		75 წელი N338 სშკ	

2. წინამდებარე სხდომის ოქმი წარედგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად და მომზადდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისი პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე: ხ. ხალვაში **ხათუნა ხალვაში**

კომისიის მდივანი: მ. შარაძე **მზია შარაძე**